ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 დეკემბრის

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

2. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

3. „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N 69.69213501 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ

მომხს:მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 22

2022 წლის 15 დეკემბერი

დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15

**სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე**

**სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:** დავით კიკნაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, პაატა გოგოლაძე, ოთარი ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგი ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, ომარი გაგოშიძე, კოსტანტინე ბერაძე სულ საკრებულოს 27 წევრი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**მერიის წარმომადგენლები:**

**ვარლამ ჭიპაშვილი** - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

**ვლადიმერ გელაშვილი** - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსი - საბიუჯეტო ა სამსახურის უფროსი

**საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:**

**ლენა კალანდაძე**– საკრებულოს აპარატის უფროსი,

**ზაალ ორბელაძე** - აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულს საკითხებში

**მ. შარიქაძე** საკრებულოს აპარატის დამხმარე მოსამსახურე

**საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:**

**მ. ბაბლიძე** -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

**ნ. კაპანაძე** გაზეთის „ჩემი იმერეთი“ ჟურნალისტი

**ს გლუნჩაძე** -ოპერატორი

**მოისმინეს:** საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

**დღის წესრიგი**

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

2. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

3. „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N 69.69213501 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 27 წევრი

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

**დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)**

**სხდომის თავმჯდომარემ, დღის წესრიგის პირველი საკითხის** -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის მიზნით, დროებით დატოვა სხდომის თავმჯდომარეობა და სხდომას წარუძღვა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დაკით კიკნაძე, რომელმაც სიტყვა მოხსენებისათვის გადასცა საკრებულოს თავმჯდომარეს მანანა ბარბაქაძეს.

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ანგარიში -საკრებულოს თავმჯდომარის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ(თან ერთვის)

**აზრი გამოთქვეს:**

**ვარლამ ჭიპაშვილმა** - მერის პირველმა მოადგილემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში საკრებულო და მერია აქტიურად ვთანამშრომლობდით, ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა ჯანდაცვა, კულტურა, ინფრასტრუქტურა და სხვა. რომ არ ყოფილიყო საკრებულოს სამართლებრივი მხარდაჭერა სედეგი ვერ იქნებოდა. მადლობა მინდა გადაუხადო საკრებულოს თავმჯდომარეს და მთლიანად საკრებულოს თანამშრომლობისათვის.

**პ. კიკალიშვილმა,** რომელმაც აღნიშნა, რომ ანგარიში იყო ყოვლისმომცველი, დელიკატურად აუარეთ გვერდი პრობლემებს, რადგან ბევრი რამ გაკეთდა.

**გ.გიორგიძემ,** რომელმაც მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს, თანამშრომლობისთვის, მან ასევე აღნიშნა, რომ ყველა ინიციატივა ჩემს მიერ დაყენებული მისგან იყო მხარდაჭერილი.

**ო. გაგოშიძემ** მომხსენებელს სთხოვა დაესახელებია 3 ძირითადი მიმართულებ მისი საქმიანობის,

**მ. ბარბაქაძემ** მომხსენებელმა უპასუხა: აქტიურობა, პრობლემების დანახვა და ზრუნვა მისი აღმოფხვრისათვის.

**კ. გოგსაძემ** დააყენა ვეტერინარების ანაზღაურების დაბალ დონეზე და ასევე აღნიშნა, რომ კადრები საძებარია, ახალგაზრდები არ ინტერესდებიან ამ პროფესიით, იქნებ გამოინახოს საშუალება, რომ კადრები მოვიძიოთ და ვიზრუნოთ ანაზრაურების გაზრდაზე. მან ასევე დააყენა წინადადება საკრებულოს წევრებისათვის ხარჯის გაზრდაზე

**მ. ბარბაქაძემ** მომხსენებელმა უპასუხა, რომ 3 თვის წინ, მან სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ხარაგაულის წარმომადგენელთან ა. ვეფხვაძესთან ერთად ვეძებდით ვეტერინარებს 1000 ლარიანი ანაზღაურებით, მაგრამ მსურველი არ გამოჩნდა. რაც შეეხება ხარჯის გაზრდას საკითხი სეთანხმებულია ყველა დონეზე და ხარჯის გაზრდა მოხდება.

**ა. ვეფხვაძემ** სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ხარაგაულის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში ვეტექიმებთან გაფორმდება 1 თვიანი ხელშეკრულება კონკრეტულ სამუშაოზე.

**დ. კიკნაძემ** დააყენა წინადადებასაკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობისდადებითად შეაფასების თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი,

მომხრე 25

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 2

**საკრებულომ გადაწყვიტა :** განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარე მ. ბარბაქაძე შეუდგა სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას.

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

**საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილება

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი,

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

**საკრებულომ გადაწყვიტა :** დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე - „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N 69.69213501 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

**საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წარმოდგენილი ცვლილება

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი,

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

**საკრებულომ გადაწყვიტა :** განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

**მოისმინეს:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ(თან ერთვის).

**საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა**

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წარმოდგენილი ცვლილება.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 27 წევრი,

მომხრე 27

წინააღმდეგი 0

**საკრებულომ გადაწყვიტა :** განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

**სხდომის თავმჯდომარე** **მანანა ბარბაქაძე**